ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2537120

ნომერი: AR1393381

თარიღი : 05.04.2016

გაცემის თარიღი : 12.04.2016

გაცნობის თარიღი : 13.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N39;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თინა ალავიძე პ/ნ 01012025275
- თბილისი ჩაისუბნის ქ. N 12

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

## გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1393381 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, #01.13.05.004.189 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ღობის მშენებლობას და ითხოვთ წარმოების დაწყების შემთვევაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2016 წლის 30 მარტს #AR1389987 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე კობა ძლიერიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისში, #01.13.05.004.189 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე I კლასის 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მოწყობის ნებართვა, რომლის საფუძველზე სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

რაც შეეხება გზის აღდგენას, აღნიშნული საკითხი სცილდება საჯარო ინფორმაციის გაცემის ნომენკლატურას.

დამატებით გაცნობებთ, რომ სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური 2012 წლიდან დოკუმენტბრუნვას აწარმოებს ელექტრონული სახით, სამსახურის მიერ 2012-2016 წლებში გაცემული ნებართვები გამოტანილია ვებ–გვერდზე (www.tas.ge) და არის საჯარო. ნებისმიერი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ობიექტების ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული ობიექტის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge